ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 55

“21” ნოემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ. №26ა-ში მდებარე 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.17.003.027) პირდაპირი განკარგვის წესით ლანა ყურაშვილისთვის (პ/ნ. 01024002962) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქუჩა №26ა-ში მდებარე 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.17.003.027) პირდაპირი განკარგვის წესით ლანა ყურაშვილისთვის (პ/ნ. 01024002962) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის №25.1804.2039 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ. №26ა-ში მდებარე 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.17.003.027) პირდაპირი განკარგვის წესით ლანა ყურაშვილისთვის (პ/ნ. 01024002962) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის ფუნქციონირების მიზნით.
2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარის ოდენობით.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე